ამბა მიქაელ იბერიელი

გიორგი მაჭარაშვილი

ამბა
მიქაელ იბერიელი

თბილისი | 2010

© გიორგი მაჭარაშვილი

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა“ - ბრძანებს დავით მეფსალმუნე. ერთ-ერთი უპირველესი ქართველი მოღვაწე, რომელიც უფალმა გამოირჩია სინას წმინდა მთაზე დასამკვიდრებლად, არის ღირსი ამბა მიქაელი. მის შესახებ გვაუწყებს „სულის სასარგებლო თხრობათანი სინაელ მამათა შესახებ“. პატერიკის მერვე თავში, რომელიც მის ყველაზე ადრეულ პლასტებს განეკუთვნება, მოთხრობილია სინაწმიდაზე მოღვაწე ამბა მიქაელ იბერიელის გარდაცვალების ამბავი.

თხზულებიდან ვგებულობთ, რომ ამბა მიქაელს ჰყავდა მოწაფე, სახელად ევსტათი, რომელიც წარმოშობით ბაბილონის ქვეყნიდან იყო. სწორედ ამბა ევსტათიმ უამბო წმიდა ანასტასი სინაელს მისი სულიერი მოძღვრის ამბავი, მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ.

ღირსი ანასტასი წერს: როდესაც დასნეულებულმა ამბა მიქაელმა გარდაცვალების მოახლოვება იგრძნო, უთხრა ამბა ევსტათის, მიეტანა მისთვის წყალი, რომ განბანილიყო და მიეძინა. ევსტათიმ აღასრულა სულიერი მოძღვრის ბრძანება. შემდეგ ამბა მიქაელმა უთხრა ევსტათის - ბერების სამარხებში ჩასასვლელი გზა ქვა-ღორღიანია და ციცაბო. გაგიჭირდება შენ იქ ჩემი ცხედრის ჩატანა. შეიძლება წაიქცე და დაშავდე. ამიტომ, მოდი, ავდგეთ და ნელ-ნელა ჩავიდეთ ქვევით. როდესაც ჩავიდნენ ბერების საძვალეში, ამბა მიქაელი ეამბორა ამბა ევსტათის, გამოეშვიდობა, დალოცა და უთხრა, რომ ელოცა მისთვის. შემდეგ კი გამოიკეტა სამარის კარი და შვებით შეავედრა სული უფალს.

ანასტასი სინაელის მონათხრობი ამბა მიქაელ იბერიელზე წარმოადგენს ერთ-ერთ უადრეს ცნობას სინას წმიდა მთაზე ქართველი მამის მოღვაწეობის შესახებ. მკვლევართა აზრით, ამბა მიქაელი VI-VII საუკუნეების მოღვაწე უნდა ყოფილიყო. არსელაიდ წოდებული ადგილი, სადაც იგი აღესრულა, სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის მახლობლად მდებარეობს. ცნობილია, რომ იმავე პერიოდში, არსელაიში მოღვაწეობდა ისეთი წმიდა მამა, როგორიცაა სინას მთის მეორე წინამძღვარი, იოანე კიბისაღმწერლის ძმა, ღირსი გიორგი სინაელი.

მოგვიანებით სინაწმინდა ქართველთა სულიერი მოღვაწეობის მძლავრ კერად გადაიქცა. ღვთის განგებით კი არ მიეცა სიღრმესა დავიწყებისასა მისი სახცელი, ვინც ქართველთათვის სულიერი გზისგამკვალავი აღმოჩნდა სინას წმიდა მთაზე. მთაზე, სადაც მოსემ იხილა მაყვალი შეუწველი და მიიღო უფლისგან ათი მცნება.

ილუსტრაციები:

გარეკანზე - XI საუკუნის მინიატურა პრინსტონის უნივერსიტეტის კოლექციიდან. ცენტრში გამოსახულია წმიდა ეკატერინეს მონასტერი, მაყვალი შეუწველი (მარჯვენა ზედა კუთხეში) და ორი მოწესე ბერი.

ბოლო გვერდზე - ქართული დავითნი სინას მთიდან. მინიატურაზე გამოსახულია სინას მთაზე არსებული სავანეები.